საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

16/10/2024 N 50

თბილისი

სს „ნიკორა ტრეიდის“ (ს/ნ: 206255808) ობლიგაციების ემისიის წინასწარი პროსპექტისა და საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის (ფქსსნ) მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-9 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №179/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის“ მე-3 მუხლის მე-8 და მე-13 პუნქტების, „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის №73/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 დეკემბრის №346/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სს „ნიკორა ტრეიდის“ 120,000,000 (ას ოცი მილიონი) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ობლიგაციების ემისიის წინასწარი პროსპექტი.

2. დამტკიცდეს სს „ნიკორა ტრეიდის“ საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი და სს „ნიკორა ტრეიდის“ საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი 60,000,000 (სამოცი მილიონი) ლარის ჯამური ნომინალური ღირებულების მქონე კუპონურ ობლიგაციებს (პირველი ემისია) მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 2700604921.

3. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს სს „ნიკორა ტრეიდს“ საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ობლიგაციებისათვის საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.

4. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ.

აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ეკატერინე მიქაბაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი